ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1-24

" 26 " იანვარი 2021 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში დაგეგმილი პრესკონფერენციის ყავის შესვენებით უზრუნველყოფის თაობაზე

მიმდინარე წლის 27 იანვარს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, მე-20 სართულზე დაგეგმილია პრესკონფერენცია მედიის წარმომადგენლებისთვის.

ზემოაღნიშნული ღონისძიების ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „კ" და „პ" ქვეპუნქტების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მე-14 მუხლის საფუძველზე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის 2021 წლის 26 იანვრის #04-0121026426 წერილობითი მომართვის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციას, მედიის წარმომადგენლებისთვის დაგეგმილი პრესკონფერენციის ყავის შესვენებით უზრუნველყოფა, ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ღონისძიებების ხარჯის ანაზღაურება კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროგრამით „მერიის ადმინისტრაცია" (კოდი: 10 02) „წარმომადგენლობითი ხარჯებისათვის" გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურს, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსს ვლადიმერ ჭიღლაძეს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისის, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში დაგეგმილი პრესკონფერენციის ყავის შესვენებით უზრუნველყოფა

დასახელება	რაოდენობა	ღირებულება (ლარი)
ბალიშა ალუბლის ჯემით	5 კგ	31.50
ნამცხვარი ფრუტა პუდრით	8 კგ	46.40
შვრიის ნამცხვარი	2.5 კგ	16.25
ნამცხვარი „შრეკი“	2.5 კგ	15.75
მოსარევი ჩხირები	30 კოლოფი	60
შაქარი თეთრი ცალობით ლოგოს გარეშე	2 ყუთი	60
ჯამი:		*229.90*